საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იისფერი ქსილოკოპა

იისფერი ქსილოკოპა

იისფერი ქსილოკოპა (Xylocopa violacea), ნეოგენური პერიოდის რელიქტი, ფუტკრების ტროპიკული ჯგუფის წარმომადგენელი. დედალი სიგრძით 20–23 მმ-ია, სხეული შავია მეტალისფერ-იისფერი ბზინვარებით, რ-იც დაფარულია შავი ბუსუსებით. თავი მკერდზე ვიწრო აქვს, ულვაშები – შავი, ქვემოდან ჟღალი შეფერილობის, ბოლოში მოღუნული. ულვაშის მე-2 ნაწევარი ტოლია მომდევნო სამი ნაწევრისა, ფეხები შავი აქვს, ფრთები – მურა, ლურჯ-იისფრად შეფერილი. მამალი სიგრძით 20– 22 მმ-ია, ძალიან ჰგავს დედალს.

სახეობა ავტოქტონური ხმელთაშუაზღვისეული წარმოშობისაა. მისი გავრცელების ჩრდ. საზღვარი გადის სამხრ.-დასავლეთ მხარეს (დას. კარპატები, სამხრ. ოდესის ოლქი). გვხვდება ასევე ყირიმში, ჩრდ. კავკასიაში, დას. და სამხრ. კასპიისპირა სანაპიროზე, ცენტრ. აზიაში, ევროპაში (საფრანგეთი, დას. გერმანია), ამიერკავკასიაში. გვხვდება ტყის პირებზე, მინდვრებზე, ველებსა და გაველიანებული ხევების ფერდობებზე. ბუდეს იკეთებს ხის მკვდარ, ხმელ მერქანში, სადაც აკეთებს სხვადასხვა გასასვლელებსა და საკნებს. მერქანს ღრღნის თავისი მძლავრი ყბებით. იკვებება ყვავილის მტვრით, ნექტრით. მოზრდილი მატლები იზამთრებენ ხის მკვდარ მერქანში. მაისში გამოდის ზრდასრული იმაგო, რ-იც მთელი წლის განმავლობაში ფრენს.

პოლიტროფია. ძირითადად ეტანება პარკოსნების (Papilionaceae) ოჯახის ყვავილებს, რ-თაც ამტვერიანებს (ბუნებაში ამ სახეობის დასაცავად, კერძოდ, მისი გავრცელების ადგილებში უნდა შენარჩუნდეს ნაწილობრივ გამხმარი ხეები მისი ბუდის მოსაწყობად და შთამომავლობის გასაზრდელად). საქართველოში გავრცელებულია მცირე კავკასიონზე (მესხეთ-ჯავახეთი). რიცხობრივად შემცირებადი სახეობაა.

ი. სხირტლაძე